№ 275. სამშაბათი, 5 აგვისტო. 1896—1897 სამშაბათი, 5 აგვისტო, № 275.

360

რედაქცია:
ტფილისი, ფრეილინის ქუჩა, № 13.
ხელის მომწერნი გაზეთის დასაკვეთად მიჰმართვენ რედაქციას დილის 10 საათიდან 3 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე და „წერა-კითხვის გამავ.
ხელმოუწერელ წერილებს რედაქცია არ ჰბეჭდავს.
პირისპირ მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლება ყოველდღე.
ტელეფონი № 363.

ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური სახალხო გამოცემა

გაზეთის ფასი
ერთის წლით 6 მან., ნახევარის წლით 4 მან.
თითო ნომერი 3 კაპეიკი
ფასი განცხადებისა
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გერდზე 10 კაპ.
მეოთხეზე 5 კაპ.
Редакція
„Цнобисъ Пурцели“
Тифлисъ, Фрейлинская № 13.
Телефонъ № 363.

Ресторанъ и гостиница
„ПУРЪ-ГВИНО“
Головинскій, д. кн. Багратіонъ-Мухранскаго.

სასტუმრო და რესტორანი
„პურ-ღვინო“.

Ресторанъ и Гостиница
„ПУРЪ-ГВИНО“
Головинскій, д. кн. Багратіонъ-Мухранскаго.

გოლოვინის პროსპექტი, მუხრან-ბატონის სახლებში, კლუბის ქვეშ.

მეგობრული მასლაათი

—გამარჯვება შენი! კაცო, რამ გაგასუქა ასე? ნეტა რასა სჭამ?

—საქმეც ეგ არის და! ვჭამ და ვსვამ, რაც-კი საუკეთესო რამ არის ტფილისში: სუფთა, გემრიელი და ნოყიერი საჭმელი, სასმელი გრილი და საუცხოვო, მოსამსახურე მარდი და ზრდილობიანი, ჰავა მშვენიერი, მოწყობილობა საგანგებო და მასპინძელი იმისთანაა, რომ სულში ჩაისვამ, მუდამ მხიარული, გულ-გაშლილი და თავაზიანი!... აბა, რა თქმა უნდა, რომ ამისთანა საჭმელ-სასმელი ხორცსაც შეერგება და სულსაც აამებს!...

—მერე სად გიპოვნია ესეთი სამოთხე?

—სამოთხე-კი არა, მაგრამ სასიამოვნო ბევრია: მე „პურ-ღვინოზე“ მოგახსენებ...

—ალბად საშინელი სიძვირე იქნება!...

—რის სიძვირე, რას ბრძანებ? აბა ქვემოდ ჩაათვალიერე და თვით დარწმუნდი, არის სადმე ტფილისში ისეთი სიიაფე საჭმელ-სასმელებისა, როგორც „პურ-ღვინოში“.

ნიხრი სადილებისა

4 კერძი სადილი, არაყი, ნახევარი ბოთლი ღვინო (ანუ ერთი ბოთლი ლუდი), ფინჯანი ყავა . . . . 1 მან.
3 კერძი სადილი, არაყი, ნახევარი ბოთლი ღვინო (ანუ ერთი ბოთლი ლუდი), ფინჯანი ყავა . . . 80 კაპ.
2 კერძი სადილი, არაყი, ნახევარი ბოთლი ღვინო (ანუ ერთი ბოთლი ლუდი), ფინჯანი ყავა . . . . 60 კაპ
2 კერძი სადილი, არაყი, 1 ბაკალი ღვინო (ანუ კრუშკა ლუდი) . . . . 40 კოპ.

ნიხრი სასმელებისა

1 რუმკა არაყი სმირნოვისა, შტრიტერისა, პოპოვისა და სარაჯიშვილისა . . . . 5 კაპ.
1 რუმკა კონიაკი, ზუბროვკა, მწარე ინგლისური და ჩაჩისა . . . . 10 კაპ.
1 ბაკალი ღვინო 5 კაპ., ერთი კრუშკა ლუდი . 5 კაპ.
1 ბოთლი ღვინო „კახეთის“ ამხანაგობისა 40 კაპ.-დან ნახევარი ბოთლი 20 კაპ.-დან, მუხრან-ბატონისა 40 კაპ.-დან.
ჟორჟაძისა 35 კაპ.-დან, თავ. გ. ჭავჭავაძისა 30 კაპ.-დან. ნახევარი ბოთლი 15 კაპ.-დან;
ლუდი ბეტცელისა ბოთლი 15 კაპ., ბოკარიის კვასი ბოთლი 15 კაპ., ლიმონადი, გრუშოვი, სოდოვოი, სიფონი და სხვა ბოთლი 10 კაპ.;
ჩაი და რძე 5 კ. სტაქანი. ყავა სტაქანი 10 კაპ.
სასმელები უოკვლეთვის ცივია.

✦✦ სამზარეულო საგანგებო, ხორაგი ახალი. ✦✦
საჭმელები ევროპიული და ადგილობრივი (ყოველ დღე ლომი)
!!ფასი ყველაფერზე ზომიერი, სისუფთავე და წეს-რიგი საგანგებო!!
იქვე ცალკე დარბაზში გამართულია 5 ფრეიბერგის ბილიარდები — ფასი საათში 30 კაპ.
ნარდი და **ჭადრაკი** საათში დღისით 15 კაპ. ღამით 20 კაპ.
⁂ სასტუმროში არის მრავალი მორთული და მოწყობილი ოთახები ⁂
ფასი თვითო ნომრისა დღე-ღამეში, 40 კაპ.—1 მ. 50 კაპ—მდე, თვეობით 10—30 მანათამდე „პურ-ღვინოს“ უპირველესი სურვილი და წადილი არის: სიწმინდე, თავაზიანობა და პატივისცემა.
დავშთები საზოგადოების მარად პატივის მცემელი **იაგორ მამინაიშვილი.**
(32—7)

ექიმი კ. კ. თოფურიძე
ღებულობს ავადმყოფებს ყოველ-დღე
დილით—8—10 საათამდე **საღამოთი—5—7** საათამდე
ხოლო სამშაბათსა, პარასკევსა და კვირაობით საღამოთი
ღარიბებს უსასყიდლოდ სწამლობს
ელისაბედის ქუჩა, № 27 (თვალის სამკურნალოს გვერდით)
ДОКТОРЪ К. К. ТОПУРИДЗЕ
Пріемъ ежедневно. Елисаветинская № 27. (20—2)

დაიბეჭდა და იყიდება ყველა წიგნის მაღაზიებში
მ. ლალიძის გამოცემული
ახალი თხზულება-პოემა **აკაკისა**
ნათელა
(ძველებური ამბავი)
წიგნი დაბეჭდილია მშვენიერს ქაღალდზე, შეიცავს 72 გვერდს.
ფასი თითო აბაზი.
ვინც ას წიგნს ერთათ ნაღდ ფულზე იყიდის გამომცემლისაგან ქუთაისში, დაეთმობა 20%. მსურველთ ფასს დადებითაც გაეგზავნება. (50—8)

თავ. დიმიტრი მაჭუტაძის და თეიმურაზ ჩაჩავას
ხე-ტყის ქარხანა
კოდორი (სოხუმის ოლქში)
ქარხანა ღებულობს ყოველგვარ შეკვეთას დახერხილ ხე-ტყის მასალებისას. ქარხანაში გამართულია სახერხი მანქანები და სხვა-და-სხვა მოწყობილობა ამ საქმისათვის.
ერთად-ერთი ქარხანაა მთელს კავკასიაში, რომელიც ამზადებს
წაბლის ფიცრებს
ულეველგვარ ზომისას, 3 არშინიდან მოყოლებული 12-მდე და აგრეთვე სხვა-და-სხვა სისქისა და განისა.
ფასი მასალებისა მეტად იაფია
უმთავრესი საწყობი ქარხნისა ქ. ბათომში.
მსურველთ შეუძლიანთ ქარხანას მიჰმართონ შემდეგის ადრესით:
ოჩემჩირეში თეიმურაზ ჩაჩავას, ბათომში თავ. დიმიტრი მაჭუტაძეს.
ფოსტის ადრესი: *Батумъ, кн. Дим. Мачутадзе*, ანუ *Очемчиры, Т. Чачава.*
ЛѢСОПИЛЬНЫЙ ЗАВОДЪ кн. Д. Мачутадзе и Т. Чачава.
Кодоры (Сухум. окр.)
Главный складъ въ Батумѣ. 300—156)

უმაღლესად დამტკიცებული საზოგადოება
აზოვის ზღვაოსნობისა
ამით საყოველთაოდ იუწყება, რომ ამ წლისა თებერვლიდამ გაიმართა **დრო გამოშვებითი მორიგი მიმოსვლა საბარგო და მგზავრთა გემებისა ოდესა-ბათომს შუა.**
ფასი შემცირებულია როგორც ბარგზე, აგრეთვე მგზავრთათვის.
ოდესიდან გამოდის—სამშაბათობით და პარასკეობით 5 ს. ნაშუად.
ფოთში მოდის—კვირაობით და ოთხშაბათობით დღისით 1 სათ.
ბათომში მოდის—კვირაობით და ოთხშაბათობით საღ. 10 საათ.
ბათომიდან გადის—ორშაბათობით და ხუთშაბათობით დღ. 1 საათ.
ფოთიდან გადის—ორშაბათობით და ხუთშაბათობით საღ. 6 საათ.
ოდესაში მიდის—შაბათობით და სამშაბათობით დილის 10 საათ.

გემები გზა და გზა შეივლიან ოჩემჩირეში, სოხუმში, ახალ ათონში, გუდაუთში, სოჭში, თუაფსეში, ნოვოროსისკში, ქერჩში, ფეოდოსიაში,
ცნობებისათვის მსურველნი მიჰმართავენ:
ტფილისს—საზოგადოების აგენტს ი. ს. რივკინს, ველიამინ. ქ., 3.
ბათომს — — — ი. მ. ვარშავსკის.
ფოთს — — — ა. დ. გუგუშვილის.

Высочъ Утвер. О—во Азовск. Пароходства
Срочные товаро-пассажирскіе рейсы по удешевленному тарифу между Батумомъ и Одессой.
Справки у агентовъ О-ва: **Тифлисѣ**=1. Бр. Рывкина, Велямин. 3. **Батумѣ**=Я. М. Варшавскаго и **Поти**=А. Д. Гугушвили.
(50—41)

სამკურნალო და ამბულატორია
ს. გ. თოფურიასი
ქუთაისში
სამკურნალოში 40 საწოლია ავადმყოფთათვის. მიიღებიან ავადმყოფნი: **შინაგანისა, ნერვების, საქირურგო, თვალისა და დედათა ავადმყოფობისანი.**
გადამდებ სენით ავადმყოფნიარ მიიღებიან.
ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 სათამდე.
შინაგან და ნერვების ავადმოფობას სწამლობს **ს. გ. თოფურია.**
საქირურგიო ავადმყოფობას და სიფილისს **ფ. ქ. გერრატი.**
დედათა ავად მყოფობას მკურნალი ქალი **მ. თ. კოგანი.**
თვალების ავადმყოფობას—**ი. ქ. ვარშავსკი.**
ამბულატორიაში არის კაბინეტი, საქიმიო და საბაქტეოროლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისთვის და მასაჟისთვის.
სამკურნალოს დირექტორი **ს. გ თოფურია.**
Лѣчебница *С. В. Топурія* въ Кутаисѣ.

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).
ავათმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა.
დილაობით:
ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათმდე, ვისაც სჭირს: სნეულებანი საქირურგიო, ვენერიული (სიფილისი) და შინაგანი.
ე. მ. ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: შინაგანი, თვალისა და ნერვებისა.
ზ. ი. ბაბანასიანცი, დილის 11—12 საათ. ქალთა სენით და ბავშვების ავადმყოფებს.
ა. ზ. კარაპეტიანცი. 1—1½ ს. შინაგანი და ბავშვებისა.
ა. გ. გურკო. დღით 1½—2½ ს. შინაგანი, ყურის, ყელის და საშარდეს ავადმყოფობის.
საღამოობით
ა. მ. პუღინოვი. 6—7 საათ. შინაგან, ბავშვებისა და ნერვებისა.

ტ. ი. რუდენკო—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.
რჩევა—დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.
დირექტორი სამკურნალოსი, დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.
Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана*
Ткфлисъ, противъ памятн. Ворнцову.

დეპეშები

გაზეთ „ცნობის ფურცლისა“

«რუსეთის სატელეგრაფო სააგენტოსაგან.»

3 აგვისტო.

სტამბოლი. ის ამბავი, ვითომც სომხებს შორის ამბოხება უნდა მოხდეს, ტყუილია.

მადრიდი. კანოვასი დიდის ამბავით და დიდებით დაასაფლავებს სანიზიდორის მონასტერში. დაკრძალ-

ვის დროს კანოვასის ქვრივმა სთქვა, მკვლელისათვის დანაშაული მიპატიებია, რადგან კანოვასის დიდებულ სულს კარგად ვიცნობო.

ბომბეი. ავღანის აგენტები კალკუტისა და ბომბეისა დაბრუნებულან ქაბულში. ხმა დადის, რომ ემირმა წინადვე იცოდა, რომ აჯანყება მოხდებოდა ინდოეთშიო.

პარიჟი. პეტერბურგს გაემგზავრნენ გენერალი სერმე და სამხედრო მინისტრის სამმართველოს უფროსი ტევენე ცარსკოე სელოში. გენერალი ბუადერფი და სახლთ-უხუცესი მოლერი გაემგზავრნენ პეტერბურგს საფრანგეთის პრეზიდენტის ჩამოსვლის თაობაზე მოსალაპარაკებლად.

პარიჟი. ხმალში გასვლა გრაფ ტურინელისა და პრინც ორლეანელის შორის მოხდება ორშაბათს, საფრანგეთის საზღვრების გარედ.

ახალი ამბავი

⁂ თ. ი. ა. ახაშიძის სულის მოსახსენებლად. გუშინ დილით, ტფილისში, ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში გარდახდილ იქმნა პანაშვიდი, რომელსაც დაესწრნენ: ბ.ბ. ტფილისის გუბერნატორი დეისტ. სტ. სოვ. ბიკოვი, პოლიც.-მეისტრის მოადგილე ლოლაძე და დიდ-ძალნი მლოცველნი.

ყველას მოწყენილი სახე ჰქონდათ, ცხადადა სჩანდა, რომ ყველას აწუხებდა ყმაწვილი კაცის თავ-განწირული სიკვდილი.

⁂ რკინის გზის ახალი ბაქანი. აღძრულია შუამავლობა აშენებულ იყოს რკინის გზის ბაქანი სად. ჩაქვას მახლობლად სტოიანოვის, სოლოვცოვის და ვუჩინოს მამულებში

⁂ გარდმოხვეწილნი სომხები. უკანასკნელ ხანში ბათუმზედ დაიწყეს კიდევ დენა ოსმალეთიდგან გამოქცეულ სომხებმა.

⁂ მთავრობის შემწეობა. გაზ. ,,მწყემსი'' გვაცნობებს, რომ მთავრობას გადაუდვია იმერეთის ეპარქიის ღარიბ სამწყსოებისათვის 17,000 მანეთი; ეს ფული დაურიგდება 57 სამწყსოს და ჯამაგირად მიეცემათ: მღვდლებს სამას-სამასი მანეთი და დიაკვნებს ას-ასი მანეთი წელიწადში, ხოლო გურია-სამეგრელოს ეპარქიის ღარიბ ეკლესიებისათვის გადადებულ იქმნა 27,000 მანეთი და ამ ფულის განაწილება მინდობილი აქვს საქართველო-იმერეთის სინოდის კონტორას.

რკინის-გზის სასწავლებელნი. ამიერ-კავკასიის რკინის-გზის ხარჯით სატეხნიკო სასწავლებლის გარდა ექვსი კიდევ სხვა სასწავლებელია გამართული: ორი—ტფილისში (სავაჟო და საქალებო) და თითოც ხაშურში, განჯაში, სამტრედიაში და ბაქოში. წელს ამ სასწავლებლებში სულ 1106 შაგირდი ყოფილა ორთავე სქესისა; სატეხნიკო სასწავლებლის პანსიონში ყოფილა 30 და ტფილისის რკინის-გზის სავაჟო სასწავლებლისაში — 75 პანსიონერი.

⁂ გამოცდა ამიერ-კავკასიის საოსტატო სემინარიაში. 26 აგვისტოს გაიმართება განმეორებითი გამოცდა შეგირდებისა, —27 აგვისტოს—წერაში გამოცდა, ხოლო 28-ს ზეპირი ეგზამენები; 1 ენკენისთვეს—მოვლენას გარდიხდიან და სწავლა დაიწყება.

თავისუფალი ადგილები არის: მოსამზადებელის კლასის უმცროსს განყოფილებაში – 8 (განსაკუთრებით თათართავის), უფროსში—11, ხოლო 1 კლასში —2.

⁂ გამოცდა გორის საქალებო პროგიმნაზიაში დანიშნულია: 26-27 აგვისტოს მისაღები ეგზამენები, 28 აგვისტოს—განმეორებითი გამოცდა შეგირდებისა, ხოლო 1 ენკენისთვეს მოვლენას გადიხდიან და სწავლა დაიწყება.

მოსამზადებელ კლასის უმცროსს განყოფილებაში მიიღებიან მოწაფედ 7 წლოვანიდამ დაწყებული ისეთებიც, რომელთაც სრულებით არ იციან რუსული ენა და არც სამშობლო ენაზედ იციან წერა-კითხვა.

⁂ უპატრონოდ მიგდებული ძველი ეკლესია. ვერაზე, ახალი ხიდის ზემოთ, ძველადანვე აშენებული იყო ეკლესია წმ. ესტატეს სახელზედ. აქ ქართველი ხალხიც ხშირად დადიოდა. რაღაც ბედზე ეს პატარა ეკლესია თავისს მამულებით ყორღანოვს ჩავარდნია ხელში; შემდეგ ნელ-ნელა ამ ეკლესიის გარშემო საფლავებს უწყეს ქცევა, მერე ეკლესიაც მიეცა შერყეობას. დღეს მიწის თხრისაგან ისეა ამ პატარა ეკლესიის კედლის საქმე, რომ ესეც დაიქცევა სამუდამოდ და მით მოისპობა კიდეც ტფილისში ესტატე მცხეთელის სახელზე გაკეთებული ეკლესია.

⁂ საწონი გირების შემოწმება. განზრახვაა, ამ მოკლე ხანში შემოიღონ ახალი წეს-რიგი ვაჭრობის შესახებ. დრო გამოშვებით უნდა გაისინჯოს ყველა საწონი გირები და შემოწმდეს მათი სინამდვილე, თვალ და თვალ უნდა ედევნოს თვალ-ყური ვაჭრობის სინამდვილეს, რომ ვაჭრებმა არ დაატყუონ მყიდველნი. ამას გარდა, წარდგენილი იქნება პროექტი, რომლითაც უნდა გადიშინჯოს ფაბრიკების და სავაჭროების კლეიმოების (ნიშნების) წესდება, აგრეთვე დადგენილობანიც შესახებ უსაჭიროესი საქონლის გაყიდვისა.

⁂ ამერიკელნი მოგზაურნი. ამას წინეთ პეტერბურღში ჩასულან რამოდენიმე ამერიკელი მოგზაურნი, რომელნიც, თურმე, ერთი თვე და ნახევარია, რაც მოგზაურობენ რუსეთის სხვა და სხვა კუთხეებში ბუნების დასათვალიერებლად. პეტერბურტში, მოგზაურნი მოთავსებულან მატარებლის მეორე კლასის ერთს დიდს ვაგონში და მოსკოვისაკენ წასულან. მოსკოვიდამ ესტუმრებიან კავკასიას, დაათვალიერებენ ამიერ კავკასიას და ამიერ-კასპიის მხარეს, აქედამ ზღვით წავლენ ქ. ასტრახანამდე და ბოლოს ქ. ნიჟნი-ნოვგოროდსაც ინახულებენ.

⁂ ხელოსანთა ამხანაგობა ტფილისში. დღეს ჩვენის ქვეყნის ყველა დაბა-ქალაქში მცხოვრებთ ხელოსანთათვის ადვილი წარმოსადგენია, თუ რა ყოფა-ცხოვრებაა მისი ცხოვრება და ისიც ცხადია, რომ დღეს მუშა ხელოსნის ძალ-ღონეს ხმარობენ მხოლოდ კერძო ქარხნის პატრონები და იჯარადრები. და ამიტომაც არის, რომ მუშა ხელოსნის შრომითა, მათის ძალ-ღონით და ხელოვნურის ნაწარმოებით სარგებლობს და მდიდრდება მხოლოდ თითო-ოროლა ქლესა-გაიძვერა და არიან განცხრომა-ფუფუნებაში და ასი-ათასობით მუშა ხელოსანი, მართლი ოფლის მღვრელი, დღე და ღამის გამსწორებელი და განუწყვეტლი მშრომელი-კი არის ჩავარდნილი ვაივაგლახსა და სიღარიბ-სიღატაკეში; ეს იმის მიზეზი იყო, რომ დღევანდლამდის ვერ მიმხვდარიყო ხელოსანი თავისის დაუდევრობით თავისი ხელობის ყადრსა და გემოს, ამიტო ისარგებლეს ჩარჩ-ვაჭრებმა, ქარხნი პატრონებმა და იჯარადრებმა, რომელთაც ჩაუგდიათ ხელში მუშა-ხელოსნის ნაშრომ-ნაღვაწი მუქთად და არიან განცხრომაში; ისიც-კ უნდა ითქვას, რომ დღეს ჩვენს მოძმე ხელოსნებშიაც არიან ისეთ გაიძვერა ზოგიერთი პირნიც, რომელნიც იუდაზე უფრო იაფად და ადვილადაც გაჰყიდის და ჰყიდის თავისს მოძმეს თავისის მუცელ-ღმერთობის გულისთვის, და აი ამისთან თვით-ნება და მუცელ-ღმერთებისაგან ხდება ხოლმე მრავალგვარი ღ ლატი, ჯიბრი, ფასის დაკლება, არ კაცური საქციელი და სხვ. და სხვ ასე, რომ დღეს ერთი ღალატობ ჯიბრობს მეორეს, ხვალ მეორე ას ვე ეწინააღმდეგება პირველს და ამი

ახალი წიგნი

„ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა“, შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი და ახსნილი თ. ჟორდანიას მიერ. წიგნები I და II. ფასი თვითოეულისა 3 მანათი.

I

იმოდენა არც ერთს საგანზედ არ დაწერილა ჩვენში, რაოდენიც საქართველოს ისტორიაზედ; მიუხედავად ამისა უნდა გამოვტყდეთ, რომ ქართულის ისტორიის ცოდნა ძრიელ ნაკლებად არის გავრცელებული არა თუ ჩვენს მდაბიო ხალხში, არამედ ჩვენს ინტელლიგენციაშიაც. ამისი მიზეზი და საბუთი მრავალია; მხოლოდ აქ უნდა დავასახელოდ ისიც, რომ უფროს ერთს შემთხვევაში ბეზარია ჩვენთა მეისტორიეთა ნაშრომის კითხვა. მრავალნი მათგანნი ისტორიკოსს უხმობენ თავიანთ თავს მხოლოდ მიტომ, რომ წაუკითხავთ „ქართლის ცხოვრება“, ბროსსეს, ჩუბინოვის, ცაგარლისა და დ. ბაქრაძის გამოკვლევანი.

დამეთანხმეთ, რომ ასეთის მცირე სურსათით კაცი გრძელ მანძილს ვერ გაივლის. ამიტომ არის, რომ ჩვენებური „ისტორიები“ ასე წააგვანან ზღაპრებს „ათას ერთი ღამისას“.

ვინც დაჩვეულია კრიტიკულს აზროვნებას და დაბეჭდილი სიტყვის ღრმა პატივის მცემელია, მან უნდა გულ-წრფელად აღიაროს, რომ, სამწუხაროდ, ჯერ-ჯერობით შეუძლებელიც არის „საქართველოს ისტორიისა'' დაწერა, ისტორიისა მოგახსენებთ კვლავაც, და არა ზღაპრებისა

ვის არ მოუვა ღიმილი ჩვენის აწინდელის ,,ისტორიების'' გახსენებაზედ. ,,წავიდა ბაკურ და დაამარცხა ათჯერ აღმატებული რიცხვით მტერი, შეიპყრა ბაქარ და მუსრი გაავლო ოსმალებს, ამხედრდა ვახტანგ და სპარსელების სახსენებელი გააქრო'' და სხვა.

ასეთმა ისტორიებმა გარყვნეს გონება და გრძნობა ქართველის მკითხველისა. ის მტკიცედ დაამყარდა აზრს, რომ ჩვენნი ისტორიკოსნი ზღაპრებს სწერენ, მოგვითხრობენ ფაქტებს, არ განხილულს კრიტიკულად.

ასე არ იქცევიან, მოგახსენებთ, ის პირნი, რომელთაც აქვთ პატივის ცემა ისტორიისადმი და მწერლობისადმი. ერთმა ასეთ გვამთაგანმა *) შვიდის წლის წინად გამოსცა ფრიად საყურადღებო საისტორიო კრებული, რომლის წინასიტყვაობაში სამართლიანად აღიარებდა: ,,ჩვენ მანამდი არ გვექმნება სრული და ჭეშმარიტი ისტორია, ვიდრე თვით ჩვენ, ქართველები, არ შევუდგებით, ევროპულ მეცნიერებით აღჭურვილნი, შეგროვებას, განჩხრეკას და შემუშავებას იმ ძვირფასს მასალებისას, რომელიც შეეხება ჩვენს შინაურს ცხოვრებას და, რომელიც ჯერ-ჯერობით ,,აქეთ-იქით გაფანტულია'' და ვინ იცის, რა ბოლო მოელის''.

მხოლოდ ჯიუტი და უვიცი კაცი თუ არ დაეთანხმება აქ ამოწერილს სიტყვებს პატივცემულის ავტორისას. დიახაც ,,ჩვენ მანამდი არ გვექმნება ისტორია'', ვიდრე არ შევაგროვებთ და კრიტიკულად არ განვიხილავთ ,,აქეთ-იქით გაფანტულ'' საისტორიო ჩვენს მასალებს.

დიდი იმედი მოგვეცა ახალგაზდა ავტორისა. ასეთი ჭეშმარიტი შეხედულება ჩვენს ისტორიაზედ, მშვენიერი კრებული საისტორიო წერილებისა,—განა თავდებნი არ იყვნენ მისი, რომ ავტორი იღვაწებდა თვის მიერვე აღნიშნულს ჭეშმარიტს სარბიელზედ?

მაგრამ აგერ მეშვიდე წელიწადი სრულდება და ავტორს კალამი აღარ აუღია ხელში. რათა? იმიტომ, რომ საქმე ფრიად ძნელია, ითხოვს აუარებელს დროს, ჯაფას, მტვრიან და ბაცილებიან ძველის-ძველ ქაღალდებში „ქექვას“, თვალის-წყლის დაშრეტას. ჯილდოდ-კი ამ აუარებელის შრომისა ნივთიერს ვერას მიიღებთ. რაიცა შეეხება ზნეობრივს დაჯილდოვებას, აქაც ბედზედ არის დამოკიდებული: იქნება „შურმა“ და „მტრობამ“ ესეც არ გაღირსონ, თანამედროვეთა შორის მაინც.

განა მარტო ბ. ალექსანდრე ჴყონიამ აღიარა ეს აზრი? მასვე ამბობდნენ უფრო ადრე მარი ბროსსე, დიმიტრი ბაქრაძე და სხვ.

აქამდისინ უმთავრესს წყაროდ საქართველოს ისტორიისა ითვლება „ქართლის ცხოვრება''. მხოლოდ ამ წყაროს აღმოუჩნდნენ მრავალნი კრიტიკოსნი; ზოგნი მათგანნი ამტკიცებდნენ, რომ ,,ქართ. ცხ.'' არის ზღაპართა კრება, შედგენილი მეფის ვახტანგ მე VI-ის მიერო. ეს არ გვაკმარეს: თვით ეს ზღაპრებიც ორიგინალური არ არისო, ნათარგმნია სომხურიდამაო.

ეს შეხედულება მშვენივრად, საბუთიანად, დაჭეშმარიტებით დაარღვიეს ბროსსემ და ბაქრაძემ. მხოლოდ მ. ბროსსემ დასტოვა მაინც ასეთი საჩოთირებელი შენიშვნა: ვახტანგ მეფემ შეიტანა ,,ქართლ. ცხოვრ.'' მხოლოდ წვრილმანი ცნობებიო, მხოლოდ ,,რომელი წვრილმანი ცნობა არის შეტანილი ,,ქართ. ცხ.'' ვახტანგის მიერ, არა სჩანსო.

როგორც ჰხედავთ, ეს მცირე შენიშვნა ბროსსესი მაინცა და მაინც მცირეოდენ ჩრდილს აყენებს ჩვენს მატიანეს. მართლაც და რომლებია ეს ,,წვრილმანი ცნობები''?

სხვა ალაგას ბროსსე ამბობს: ''მართალია, ამისთანა სიჩუმე ,,ქართლის ცხოვრების'' ავტორებისა შესახებ თავიანთის სახელებისა, დროსა და ბიოგრაფიისა ბევრად ვნებს მათს სინამდვილეს და საბუთიანობას''.

როგორც ჰხედავთ თქვენის ბედნიერის თვალით, აქ მ. ბროსსე, ეს მოსარჩლე და ქომაგი ,,ქართლ. ცხოვრებისა'', თვისდა უნებლიედ თითქოს აფოლებს თვითვე მნიშვნელობას მატიანესას, ეჭვი შეაქვს თითქოს, მისს ,,სინამდვილესა და საბუთიანობაში'', თუმცა მერე ასე ასწორებს თავისს აზრს: ,,აღნიშნული ნაკლულევანება შეიძლებ შეივსოს ქართულ და ევროპიულ მეისტორიეთა ნაწერების შედარებითო''. აქაც ჩვენ ვხედავთ სურვილს, რომ ,,ქართ. ცხოვრ.'' შევსებულ და დამტკიცებულ იქმნას სხვა ისტორიულ წყაროებით, რომელნიც დღემდის ,,აქაიქ გაქსაქსულნი'' არიან, ანუ ლპებიან მოუხმარებლად ჩვენს მუზეებში.

დ. ბაქრაძე ამავე საგანზე ამბობს: ,,ახლა აღარ უნდა ვიქვენეულობდეთ, რომ საკმაოდ მოიპოვებიან ჩვენ იმ გვარნი ჩვენის ისტორიის წყ რონი, რომლებზედაც ჯერ-ჯერ ბით არავითარი ცნობა არა გვაქვს''.

როგორც ჰხედავთ, ბატონებ ჩვენნი მეისტორიენი საერთოდ თანხმობით ჰგოდებენ: საჭიროა შ იკრიბოს ,,აქა-იქ გაბნეული'' ს სტორიო მასალები, დაეწყონ ს ტემაზედ, შაედარნენ ჩვენს მთავა მატიანეს ,,ქართლის ცხოვრებას'' რათა საბუთიანობა მისი განმტკი დეს, სახელი მისი შეუმწიკვლე შეიქმნას, გასასწორებელი გასწ რდეს, ჩასამატებელი ჩაემატოს სხვ.

ცოტად თუ ბევრად, სხვებმაც რომეს ამ ეკლიან სარბიელზე ,, აქა-იქ გაქსაქსულ'' მასალებ შეკრებაზედ და მათს კრიტიკულ განხილვაზედ, მაგრამ ის ღვაწლ რომელიც თ. ჟორდანიამ დასდო საგანს, ამ დიდის ხნის ნატვრას ტორიკოსებისას,—ეს ყოველს ლოდინს აღემატა. მისი შრომა, რ მელთა სათაური ზემოთ ამოვწერე აკადემიური შრომაა, მეცნიერულ ნაყოფი ხანგრძლივის მუშაობი დაფიქრებისა, შედარებისა და კრ ტიკულად განხილვისა. ეს შრო ნათელსა ჰფენს ბევრს საეჭვო ად ლებს ,,ქართლის ცხოვრებისას'', ვრგან განამტკიცებს ჭეშმარიტე მისას, რომელიც საეჭვოდ იყო მხდარი. ერთის სიტყვით, ''ქარ ლის ცხოვრებას'' ამის შემდეგ ემა ბა ფასი, ნდობა, რწმენა და აი დეც ეს უნდა დაიჭიროთ საწყა თ. ჟორდანიას შრომის დასაფას ლად.

ძველი ეკალ

---

*) ალექსანდრე ჴყონია.

კი სარგებლობს ჩარჩ-ვაჭარი და მოიჯარადრე. ასე და ამგვარად ხელოსნის ერთმანერთის ღალატს ჯიბრით და სამუშაო ფასების დაკლებით მათვე აკლდება ძალ-ღონე და ისეც დაცემულ-დავრდომილი ქონება-გონებრივ და ზნეობრივ ვარდება უფრო უკიდურესს მდგომარეობაში. ამიტომაც არის, რომ მრავალ ხელოსანს შეხვდებით ჯან-ღონე გამოცლილს ჯაფისაგან, დასუსტებულს, გაფითრებულს და ოთხ-კეცად წელში მოხრილს, რომელსაც გაუწვდია ხელი სამოწყალოდ და შველა-გაკითხვა-კი არსაიდან არის იმათთვის.

აი, ამ თავისის თვალით ნანახის ვარამისა და გამოცდილების შედეგი არის მიზეზი, რომ თვით ხელოსნებმა მოიყარეს თავი და, ბევრის სჯისა და ბაასის შემდეგ, გადასწყვიტეს და შეადგინეს ამხანაგობა, რომლის საგანიც არის, რომ ხელოსანმა თავისს სამართლიანს შრომაში მიიღოს კუთვნილი სარგებლობა; ყოველი მშრომელი ხელოსანი ამხანაგობისა უნდა გახდეს თავისის შრომის პატრონ-ბატონად, მას უნდა ეკუთვნოდეს თავისის ხელით ნაწარმოებში თავნიცა და მოგებაც, რომ მით მან გაიადვილოს ცხოვრება და გაიუმჯობესოს ხელოსნობა შეერთებულის ძალით, შრომით და სამართლიანის საქმის წარმოებით.

ამ საქმის განხორციელებისათვის ამხანაგობა აღგენს თანხას თვის ამხანაგთა შორის. წილის ფული, ე. ი. პაი, ღირს 10 მანათი და 3 მანათიც ამხანაგობაში შერიცხვისაა; სამინისტროსაგან შედგენილის წესდების თანახმად 13 მანათ ნაკლებ აღარ შეიძლება; ამ წილის პაის გადახდა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება თვეში ერთი მანათის შეტანით ამხანაგობისაგან ამორჩეულ ხაზინადართან, ასე, რომ ზემოხსენებული 13 მანათი უნდა შესრულდეს 10 თვეზე. ამ 10 თვის განმავლობაში ამხანაგობა შეიმუშავებს წესდებას, შეჰკრებს თანხას და გაჰხსნის საწყობს მაღაზიას თავიანთ ნაწარმოებისა და მასალის საყიდად და აგრეთვე გაჰხსნის იმავე დროს სამუშაო ქარხანას, რომელშიაც უნდა კეთდებოდეს ყოველგვარი სახელოსნო საქმეები. აიღოს იჯარით საქმე როგორც კერძო, ისე სახელმწიფო დაწესებულებისაგან და სხვა. აგრეთვე აიღოს სესხი როგორც კერძო პირთაგან, ისე სახელმწიფო და საკრედიტო დაწესებულებისაგან. ამ საქმის მწარმოებლად და ხაზინადრად ამხანაგობამ ერთხმად აირჩია ბ-ნი მიხეილ ნასიძე და მასთან 6. ხელოსანთაგანი ხაზინადრის თანაშემწედ; ამხანაგობა მიიღებს ჩვენის ქვეყნის ყველა პროვინციების ხელოსანთაც წევრად, რაიც შეადგენს ორივე მხრის სარგებლობას მით, რომ პროვინციის წევრნი და ჩვენ დავუკავშირდეთ ერთმანერთს ყოველის ჩვენ-ჩვენის ნაწარმოებით და მასალით, უჩარჩოთ გადავცემთ ურთიერთს, რაც მათში მოიპოვება ჩვენთვის საჭირო მასალა და მათი ნაწარმოები და აგრეთვე ჩვენში რაც მოიპოვება მასალა თუ გაკეთებული საქონელი, ერთის სიტყვით, ურთიერთთან გვექნება საქმე და არა ჩარჩთან.

ვინც მოისურვებს წევრად ჩაწერას, საწევრო ფულის გადასაცემად შეუძლიან მიჰმართოს გამგე ხაზინადარს «ცნობის ფურცლის» რედაქციაში ბ-ნს მიხეილ ნასიძეს.

ხელოსანი მ. ჩ—შვილი.

⁂ **საზაფხულო საპედაგოგიო კურსები ტფილისში.** (გაგრძელება). სასულიერო სემინარიაში სამოსწავლო ნაწილიდგან ლექციების მაგიერ სამაგალითო თვალ-საჩინო გაკვეთილები იქმნენ მიცემულნი. სამღვთო-სჯულიდგან მისცეს გაკვეთილები სემინარიის მოძღვარმა, სამაგალითო სამრევლო სკოლის სამღვთო-სჯულის მასწავლებელმა მღ. ბერძენიშვილმა და წმ. მამა დავითის ეკკლესიის მღვდელმა მაჭაროვმა. საეპარქიო სამრევლო სკოლათა ზედამხედველმა ბ-ნმა ნ. გ. ტატიშვილმა დასძინა: ,,მღ. მაჭავაროვის მიერ მიცემული სამაგალითო თვალ-საჩინო გაკვეთილი ზედ-მიწევნით ეთანხმება ჩემ ლექციების შინაარსს და საჭიროდ ვრაცხთ იგი მოკლე მომავალში გავარჩიოთ''. შემდეგი სამაგალითო თვალ-საჩინო გაკვეთილები მისცეს ბბ—ნებმა ლ. გ. ბოცვაძემ და თ. ი. მჭედლიშვილმა. პირველმა მისცა რუსულ ენაში, მეორემ მრიცხვაობაში. თუ რამდენად ნაკლულევანება-ღირსებებით არიან შემკულნი მათ მიერ მიცემული გაკვეთილები, გვაჩვენებს საგანგებო კრება, რომელიც მოხდება მოკლე მომავალში საპედაგოგიო მეცნიერებაში დახელოვნებულ პირთა თანადასწრებით. საჭიროდ ვრაცხთ, მოვაგონოთ ვისაც ჯერ არს, რათა საგანგებო კრებაზედ აღძრულ იყოს კითხვა რუსული ენის ნამდვილ პედაგოგიურ დონოზედ დაყენების შესახებ სამრევლო სკოლებში. დღევანდელ სამრევლო სკოლებში რუსული ენის სწავლება იქნობამდისინ გადარეულია, რომ არამც თუ რუსულსავე ენას აზარალებს, არამედ სხვა საგნებსაც ავნებს. აი საქმე რაში გახლავთ: ზოგიერთ სამრევლო სკოლათა მასწავლებელთ, ვგონებთ სუყველასაც, საქებრად და სასარგებლოთაც მიაჩნიათ რუსული ენის სწავლება კითხვით და წერვით პირველ განყოფილებაში, არამც თუ სამოსწავლო წლის მეორე ნახევრიდგან, არამედ ენკენისთვიდგანვე დედა-ენასთან ერთად. ,,ორი კურდღლის მდევარი, ერთსაც ვერ დაიჭერსო'', ნათქვამია ხალხის სიბრძნისგან და ნამდვილიც არის. ბავშვს ჯერ ,,დედა-ენა''-შიაც უჭირდება ენა-თვალის გატეხვა და, ნუ თუ უცხო ენაშიაც შესძლებს? განა ის-კი ცოტა საქმეა, რომ ბავშვმა შეიგნოს დედა-ენის წერა-კითხვა? ბავშვი რაკი გაიცნობს წერა-კითხვის ტეხნიკურ მხარეს დედა-ენაზედ, უცხო ენაში დიდი შრომა აღარ დასჭირდება, მაშასადამე უფრო გულით და სიამოვნებითაც მოჰკიდებს ხელს. ასეთი გულით ხელის მოკიდვა რუსულ ენისა მართლა სასურველია ჩვენთვის და ნაყოფსაც დიდს მივიღებთ, ვიდრე დღესა ვხედავთ. მასწავლებელნი ამ შემთხვევაში (ე. ი. დღევანდელ სწავლის მიმდინარეობით), წინ უდგებიან მთავრობის განკარგულებას. რომ მართლა მთავრობა სხვასა სთხოვს და მასწავლებელნი სხვას ასრულებენ, ცხადათა სჩანს სამოსწავლო გეგმიდგან, რომელიც დამტკიცებულია უწმინდესი სინოდისაგან. (Учебный планъ церковно-приходскихъ школъ Православнаго Грузинскаго Экзархата, утвержденный указомъ Святѣйшаго Сvнода отъ 27-го сентября 1895 года за № 3334.) ეს სამოსწავლო გეგმა არავისაგან უარ-ყოფილი არ არის და დღესაც ძალაშია. იგი დაბეჭდილია ქ. ტფილისში, ჩარკვიანის სტამბაში 1895 წელს. მეშვიდე გვერდზედ ბოლოდგან მეორე სტრიქონზედ სწერია: ,,რუსულის წერა-კითხვა შემოღებულ უნდა იყოს მეორე განყოფილებაში. ამავე განყოფილებაში უნდა ისწავლებოდეს პატარ-პატარა, უბრალო სტატიები ქართული ენის დახმარებით, მესამე განყოფილებაში შემოღებულ უნდა იქმნეს რუსულ ენაზედ თავისუფლად წერა-კითხვა და რუსულ სტატიების ქართულად თარგმნა და ქართულისა რუსულად. ასეთი რუსული ენის სწავლება უნდა მიმდინარეობდეს როგორც რუსულს გაკვეთილებზედ, აგრეთვე ქართულზედაც. პირველ განყოფილებაში ლექსიკონურად უნდა ისწავლებოდეს რუსული ენა თხუთმეტი წუთის განმავლობაში.“ როდესაც მთავრობა ასეთ დიდს ყურადღებას აქცევს სწავლის მიმდინარეობას, ჩვენ რათა ვწევთ უკან ჩვენს სასარგებლოთ დაარსებულ სკოლათ? არ ეპატიება ეს ჩვენ მასწავლებელთ, განსაკუთრებით არ ეპატივებათ იმ პირთ, რომელნიც სამრევლო სკოლათა ხელთ-მძღვანელად ითვლებიან. ადვილი შესაძლებელია, მასწავლებელთ არ იციან მთავრობის ასეთი განკარგულება, მაგრამ სამრევლო სკოლათა ხელმძღვანელთ როგორღა ეპარებათ ასეთი საყურადღებო საგნის მივიწყება! იმედია, ეხლა მაინც განიხილავენ ვისიც ჯერ არს ამ ფრიად საყურადღებო განკარგულებას მთავრობისას და მასწავლებელთ ვალდებულათ გაჰხდიან, განახორციელონ ზემო-მოყვანილი მთავრობისაგან დამტკიცებული სამოსწავლო გეგმის მოთხოვნილებანი.

მ—შვილი.

⁂ **ს. ავნევი** (ქართლი). **გაავაზაკებული ოსები.** ამ ჟამად ჩვენში ძლიერ არის გახშირებული ავაზაკობა და ვინც-კი არა მგონია, იბრიყვებს საწყალს ხალხს და ძარცვავს. წარსულ თვეს აი რა შემთხვევა მოხდა: ს. ავნევში მოსულა ორი ხანჯლებით შეიარაღებული ოსი, რომელნიც მერმე აღმოჩნდნენ გიგო და ანტონა ვალიშვილები, მოსულან ერთს ქვრივთან, კონა ჩიგოიძესთან და მოუთხოვიათ სამი ჩარექა ღვინო, იმასაც მოუტანია; ზოგი იქ დაულევიათ ამ ვაჟბატონებს და ზოგიც თან წაუღიათ, ხოლო ფასი იმ ღვინისა ვის ახსოვს. ყინულზედ დაუწერიათ!

ავნევიდგან გამოსულან და ცხინვალის შუა გზაზედ შეხვედრიათ ერთი კაცი ს. ნულის მცხოვრები მოსე ჩივჩავაძე, რომლისგანაც მოუთხოვნიათ სულ ყველაფერი, რაც-კი ტანზედ ჰქონია; თანაც დაუძალებიათ, ჩვენ ავაზაკები ვართ, აბა ნუ მოგვცემ, მაშინ გაჩვენებთ შენს თამაშსაო, მაგრამ გლეხ-კაცს დიდი უარი განუცხადებია და მოურთავს ყვირილი. სწორედ ამ დროს შესწრებიათ ერთი კაციც, ზემო ხვითელი ლექსო პაპელაშვილი, რომელსაც მიჰქონებია ცელი ს. ავნევში გასაკეთებლად. წათამამებულნი ვალიშვილები იმასაც წინ გადასდგომიან და ცელი წაურთმევიათ. გაუგია-რა ეს ყველაფერი ს. ავნევის ნაცვალს, რომელსაც შეუკრებია ხალხი და მოსულა ამ ამბის ალაგას, თამამი ავაზაკები-კი გაუბაწრავს და წარუდგენია ადგილობრივ ბოქაულისთვის; მანაც ოქმი შეუდგინა ბაქია ავაზაკებს და მისცა სამართალის ხელში.

ალ. ალაზნისპირელი.

⁂ **სოხუმი.** **ადგილების შესაძენად ამხანაგობა.** ამ ორი წლის წინედ ხმა გავრცელდა, სოხუმზედ რკინის გზა გამოივლისო, ამის მიხედვით აქ შეიყარნენ რამდენიმე პირნი ვაჭრები და იყიდეს ,,აგარაკბალი'' ჩაფაროვისაგან. ეხლა ეგ ბალი უნდა დაინაწილონ მყიდველებმა, მაგრამ არ იქნა, ვერ დაინაწილეს... ემდურიან მოთავეს საქმისას!.

⁂ **ს. აცანა.** (გურია) **ხელ-კეტით კაცის მოკვლა.** 23 ივლისს ს. აცანას და ნაგომარს შუა გზაზედ მდ. სუფსის პირზე ბზის ხელ-კეტით სასიკვდილოთ გაუტეხა თავი მეველე სერაპიონ ჯახუტაშვილმა გლეხს სოლომონ ჩხაიძეს, რომელიც მეორე დღეს დილით ამ ჭრილობით გარდაიცვალა.

აი საქმის გარემოებაც: 23 ივლისს, დილით ადრე სოლომონ ჩხაიძეს სახლიდამ ხარ-ურემი წაუყვანია და დაბა ნაგომარში წასულა თავის ყანის სამუშაოდ; საღამოს მუშაობა გაუთავებია და შინისაკენ წამოსულა; გზაზედ მდ. სუფსის პირად მოსასვენებლად შეჩერებულა, ხარები ულლიდამ გამოუხსნია და თითონაც წყალში ჩასასვლელად ემზადებოდა. ამ დროს მისულა ადგილობრივი მეველე ჯახუტაშვილი და ხარები გაურეკია, უკან გამოდევნებია სოლომონ ჩხაიძეც—«სად მიგყავს ხარები, დამიტოვე, რას მემართლებიო?» ამაზედ მეველეს უპასუხნია: „ჯიხურში (საყარაულოა) მობრძანდი და იქ მიიღებ შენს ხარებს„-ო; ჩხაიძეს და ჯახუტაშვილს ჩხუბი მოუვიდათ; გაბრაზებულა მეველე და ჩხაიძისათვის ხელ-კეტი დაუკრავს თავში. საცოდავს ჩხაიძეს გრძნობა დაჰკარგვია; იქვე მყოფი მუშები მიჰრილან, სისხლი მოუბანიათ და რის ვაი-ვაგლახით ერთი საათის შემდეგ გონზე მოუყვანიათ, დაუმშვიდებიათ და ადგილობრივს მამასახლისთან გაუგზავნიათ საჩივლელად.

მამასახლისს უთქვამს, მე ვერ დავსჯი ჯახუტაშვილს, ის ჩემი ნათესავია და ვერ გავსწირავო, ხოლო თუ ბოქაულისაგან ბრძანება მომივა, მაშინ რაღა გაეწყობა, მოვალე ვიქმნები და შევიპყრობ კიდეცო. საცოდავი ჩხაიძე წასულა დ. ნაგომარში ბოქაულთან, რომელსაც შესაფერი ოქმი შეუდგენია და დაჭრილ-დასუსტებული ჩხაიძე სახლში გაუსტუმრებია. მისულა სახში თუ არა, საბრალოს ასტეხია იარადამ სისხლის დენა და სანამ ფერშალის მოიყვანდნენ და რასმე უსაშველებდნენ, სისხლიდამ დაცლილა და მომკვდარა.

სოლომონ ჩხაიძე ჯერ ახალგაზდა, 27 წლის კაცი იყო და ერთად ერთი მრჩენელი თავისის ღრმად მოხუცებულის მშობლებისა და მთელის ოჯახისა.

ამ ამბავმა შემზარავ შთაბეჭდილება მოახდინა მთელს სოფელში. ჯახუტაშვილი ჯერ-ჯერობით არხეინად დაფარფაშობს.

გამოძიება სწარმოებს და, იმედია, მართლ-მსაჯულები სასტიკად დასჯის დამნაშავეს.

გიტო.

⁂ **ს. გომი** (ქართლი). **კაცის მოკვლა.** 31 წარსულს მკათათვეს, როგორც „ცნობ. ფურც.“ იყო მოხსენებული, აქ ერთი უბედურება დატრიალდა: აზნაურმა რევაზ გვერდწითელმა რევოლვერით მოჰკლა აზნაურივე რკინის გზის ტელეგრაფის მოხელე გიორგი ქურდოვანიძე. აი დაწვრილებით საქმის გარემოებაც: ამ ორ საგვარეულოს შორის დიდი შფოთი და დავიდარაბა იყო დიდი ხნიდგან მამულის თაობაზედ, რისთვისაც არა ერთხელ-და ორჯელ მოსვლიათ ჩხუბი. 31 მკათათვეს ორს ძმას აზ. ნიკოს და გიორგის ქურდოვანიძეთ მიჰქონდათ ხუთი ურემი სხვა დასხვა მასალა სახლის ასაშენებელი. რომ მიახლოვებულან ს. ზემო-აგარას, საზოგადო გზაზედ შეშეხვედრიათ აზ. რევაზ სიმონისძე გვერდწითელი, რომელიც გადასდგომია ურმებს წინ და დაუწყია რევოლველის სროლა, რომლის დროსაც დაუჭრია ერთი კამეჩი. ქურდოვანიძეებიც დამუქრებიან, გვერდწითელი გაქცეულა შარა-გზაზედ და ისინიც უკან გამოჰკიდებიან; გზაზედ შეჰხვედრიათ სიმონა გვერდ-წითელი. ქურდოვანიძეებს დაუჭრიათ იგი ხანჯლით თავში და მხარში. და აი ამ ჩხუბსა და დავიდარაბაში რევაზ გვერდწითელს მოუკლავს რევოლვერით გიორგი ქურდოვანიძე, რომელსაც დარჩა წვრილი შვილები. ცოლი-კი არ ჰყავდა საცოდავს. საქმე სწარმოებს. ამ ამბავმა ძრიელ აღაშფოთა აქაური საზოგადოება

ალ. ალაზნის-პირელი

⁂ **სად. ლანჩხუთი** (გურია). **უმართებულოდ აკრძალვა ხილზედ ვაჭრობისა.** ლანჩხუთის სადგურს აქვს შემოყოლებული რკინის ღობე, რომლის იქით სახალხო მატარებლის მოსვლის დროს დაინახავთ ქალებს ხელში სხვა-და-სხვა აბრეშუმის ნაქსოვებითა. ძლიერ სასიამოვნოა, როდესაც უბრალო სოფლის დედაკაცებისაგან ასეთს ნამუშავარს ჰხედავ; იგი ნიშანია მეცადინეობისა, გარჯისა და წინ-მსვლელობისა. ეტყობათ, ტყუილად დროს არ ჰკარგვენ ფერ-უმარილის ცხებაში. აქ დაინახავთ აგრეთვე ყმაწვილებს, სავსე კალათა ხილით ხელში და სხვა-და-სხვა ხელ-საქმით; ამათში მოსწავლე ყმაწვილებიც ურევია ხოლმე. გაჰყიდიან ხილს და იმითი წიგნებს ან სხვა სასწავლო ნივთებს ყიდულობენ... ამ ჟამად ხილზე ვაჭრობას ბოლო მოუღო აქაურმა ჟანდარმმა. საქმე ის არის, რომ აქ პატარა სავაჭრო ჯიხური („ბუტკა“) აქვს გლ. წილოსანს; იმის მიხედვით, რომ აქ სხვა-და-სხვა ხილებს ჰყიდიან ბავშვები სახალხო მატარებლის მოსვლის დროს, მეჯიხურეს გლ. წილოსანს თავისი დამპალი ხილები გაუყიდველი რჩება, ამიტომ მიიმხრო ჟანდარმი და ყველა ხსენებული სოფლის ქალები და ყმაწვილები სადგურის სიახლოვესაც არ გააჭაჭანა, არა თუ რკინის ღობესთან მიუშვა. სხვა სახსარი რა აქვს სოფლის დე-

დაკაცებს, თუ ამასაც მოუსპობენ!.. სხვაგან ვერსად წავლენ, გაგზავნა ხელ-საქმოსნისა მათ არ შეუძლიანთ და ეს ცოტაოდენი ხელზე ვაჭრობა აუკრძალეს, რომელიც სადგურისათვის არაფერი მავნებელია. ეხლა საბრალონი, რაკი მათს ნამუშავარს გასავალი არა აქვს, იძულებულნი არიან სულ არა გააკეთონ-რა და არ ისაქმონ. ხოლო, ყველას მოეხსენება, უსაქმურობა სოფელში რა ხეირს დააყრის. ცხოვრება გაძნელდა და დღიურ სარჩოსათვის, ვინ იცის' კაცი რას არ ჩაიდენს, რა ცოდვაში არ ჩავარდება...

უმორჩილესად ვსთხოვ თანაშემწეს სადგურის უფროსისას ბ-ნს კობეშავიძეს, როგორც გავლენიანსა და სინიდისის მქონე ადამიანს, ეს არავისთვის მავნებელი ხელზე ვაჭრობა არ დააშლევინოს ჟანდარმს და მარტო რკინის ლობემდე მისვლის ნება მაინც მისცეს სოფლელ დედაკაცებს და მით არ მოუსპონ უკანასკნელი ლუკმა პური და პატიოსანი შრომა.

ან-ჟან.

⁂ **სურამი. მამასახლისის არჩევნები.** ამ წლის ვარამათ დაბა სურამში მამასახლისის არჩევანი იყო. არ იქმნა და არა — ვერ ვღირსენით ისეთს მამასახლისს, რომელიც ცოტაოდნათ მაინც გაუძღვებოდა ჩვენს აუარებელ საქმეებს. უსუფთაობა ქუჩებისა, ბინძურობა, საზოგადო საქმეების აწეწ-დაწეწა, საზოგადო ფულების უანგარიშობა—აი სურათი ახლანდელი სურამის ცხოვრების მიმდინარეობისა; რა ღონე არ ვიღონეთ, რომ რიგიანი მამასახლისი ამოგვერჩია, ჯამაგირიც კი დავუნიშნეთ, რა არა ვქენით, მაგრამ დღევანდლამდის კეთილს ვერ მივახწიეთ. დღეს კი, როგორც იყო, ვღირსენით. ხალხმა რის ვაი-ვაგლახით ამოირჩია ის, რომელიც ამ რამდენისამე წლის წინად მამასახლისობდა და კარგი კვალიც დასტოვა ხალხის ხსოვნაში. მე მოგახსენებთ ნიკო ქიმერიძეზედ. ამ კაცის ამორჩევამ დიდი აურ-ზაური ასტეხა აქაურ სომხებს და ქართველებს შორის. აქაური წესის აღმსრულებელი ბოქაულიც ტ—ვი იმდენს ეცადა, რომ ეს ახალი ამორჩეული არ დაამტკიცებინა და ძველიც გადააყენა და ჯაჭვიც ჩააბარა მამასახლისის კანდიდატს ვაქართაგანს და ბევრსაც ურჩევდა ხალხს, რომ ეს უკანასკნელი ამოერჩიათ მამასახლისათ. მაგრამ საქმე სხვა ნაირად დატრიალდა. ხალხმა არ ინდომა იგი მამასახლისად, იჩივლა გუბერნატორთან და ამ უკანასკნელმა დანიშნა ახალი არჩევანი. ბოქაულის არჩევანზე დასწრება უარ ყო და დაავალა მომრიგებელ-შუამავალს ეხელმძღვანელა ამ ახალ არჩევნისთვის. ამასწინად მობრძანდა მომრიგებელი შუამავალი თ. გ. ი. თარხნიშვილი, ნამდვილი მამაშვილური დარიგება მისცა ხალხს რიგიანი მამასახლისის არჩევაზედ და დაასახელებინა კანდიდატები. დაასახელეს თუ არა ნიკო ქიმერიძე, ხალხმა იხუვლა და სულ იმისაკენ გადვიდნენ. ურიებიც კი გვერდს ამოუდგნენ. დარჩნენ ვაჭრები პირ-ჩალა გამოვლებული. ახლა ეს ვიკითხოთ: რატომ არ მოინდომეს ნიკო ქიმერიძის არჩევა? ბოროტი ენები ამბობენ, რომ ეს უკანასკნელი ნებას არ აძლევს ღარიბი ამსახუროს მდიდარს, ნედოიმკები ახდევინოს ღარიბს და მდიდარი-კი დაიფაროს, აქაური ვაჭრების დღეგრძელობისთვის გლეხები ამუშაოს და მდიდრები-კი დასტოვოს. ისე ამბობენ ამას და, მგონი, რომ მართალიც უნდა იყვეს.

სურამელი.

—

შეცდომის გასწორება. ჩვენ გაზეთში «ცნობის ფურცელი»-ის № 271-ში საზაფხულო საპედაგოგი კურსები თბილისში თავიდგან ოც-და-მეშვიდე სტრიქონში სწერია „ორი კვირით მაინც ადრე არ დავიწყეთ სწავლა“, უნდა იყოს „ორი კვირით მაინც ადრე დავიწყეთ სწავლა‘‘.

⁂

თეატრის მატიანე

—

სოხუმი. აქ მოვიდა ქართული დრამატიული დასი ბ-ნი ალექსი-მესხიშვილის მეთაურობით. პირველი წარმოდგენა კვირას, 27 ივლისს გამართეს. წარმოადგინეს „დამნაშავე“ 3 მოქმ. დრამა და „უბედური დღე“ ერთ მოქმ. კომედია ბალანჩივაძისა. საზოგადოება ბლომად დაესწრო და დიდად ნასიამოვნებიც დარჩა წარმოდგენით. ჯერ აქ კიდევ რამოდენისამე წარმოდგენას გამართავს ჩვენი ძვირფასი მსახიობი და სასურველია, რომ ერთჯერ „სამშობლოსაც“ წარმოადგენდეს. ეს მით უფრო საჭიროა, რომ სოხუმელებს ძალიან სწყურიანთ ამ პიესის ნახვა. დასში ჩხეიძის ქალიც არის, რომელიც საზოგადოებას ძრიელ მოეწონა. საზოგადოდ თვითონ ალექსი-მესხიშვილი საუცხოვოდ თამაშობს, მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, ხმა ჯერ ისევ გაუმჯურნავი აქვს, რაც უძნელებს შესაფერ ზედგავლენის მოხდენას.

წალდი

⁂

სხვა და სხვა ამბები

—

მიზეზი პრინცის ჰენრი ორლეანელის დუელისა. ამას წინად მოხსენებული გვქონდა ჩვენს გაზეთში პრინცის ჰენრი და იტალიელ გენერალის ალბერტონეს დუელის შესახებ. აი თვით დუელის მიზეზიც. პრინცი ჰენრი მოგზაურობდა აფრიკაში და თავის მოგზაურობის შთაბეჭდილებანი გამოაქვეყნა ფრანგულ გაზ. ,,ფიგაროსა‘‘ და ამერიკის ,,ნიუიორკ ჰერალდში‘‘. სხვათა შორის, ხსენებულ გაზეთებში ნათქვამი იყო, რომ აბისინეთში, დატყვევებული იტალიელები ღირსეულად ვერ იქცეოდნენ და ჯარის-კაცთა გარდა უფროსი აფიცრები და თვით გენერალი ალბერტონე ნეგუში მენელიკის და მისი მეუღლეს სადღეგრძელოს მიირთმევდენ ხოლმე, როცა სასახლეში იყვნენ მოპატიჟებულნი. ეს, რა თქმა უნდა, ეწყინა იტალიელ აფიცრობას და განსაკუთრებით ალბერტონეს. ამ უკანასკნელმა სამსახურს თავი დაანება, რათა შესძლებოდა პრინცი ჰენრის ხმალში გამოწვევა და გამოიწვია კიდეც. პრინცმა მიიღო ალბერტონეს გამოწვევა. ხოლო იმავე დროს ალბერტონემ იტალიურ გაზეთ ,,ტრიბუნაში‘‘ დასწერა, რომ ყოველივე, რასაც პრინცი ჰენრი სწერს, სიცრუეა და ცილის წამებაო. პრინცი კიდევ ამბობს, რომ თუ იტალიელთ არ სჯერათ, ტყუილა-უბრალო ანჩხლობას არ სჯობიან, რომ საქმე საფუძვლიანათ გამოიკვლიოთო...

ასეა თუ ისე, დღეს მთელი ევროპა ამ საქმეზე ლაპარაკობს და ზოგნი პრინც ჰენრის ამართლებენ, ზოგნი კიდევ ამტყუნებენ. პრინცს ჰენრის სრული უარი შეეძლო შეეთვალა ალბერტონესთვის ხმალში გამოსვლაზე, რადგან კანონით ორნივე მოწინააღმდეგენი თანასწორნი უნდა იყვნენ, ხოლო პრინცი სამეფო გვარეულობისაა და ალბად ეს იქნება მიზეზი, რომ ამ დღეებში გაზეთებში სწერდნენ და დღეს დეპეშებშიაც არის, რომ გრაფ ტურინელსა და პრინცს შუა უნდა მოხდეს ხმალში გასვლა. გრაფი ტურინელი იტალიის მეფის ძმისწულია და, მაშასადამე, სამეფო გვარეულობიდან არის.

—

კალიასაგან შეჩერებული რკინის გზის მატარებელი. საფრანგეთის ერთს რკინის გზაზე რამოდენიმე დღით შეუჩერებია კალიის ხროვას მატარებლის მიმოსვლა. აი როგორ მომხდარა ეს ამბავი: სადგურთ „ნევიკ“ და „რულიაკ“-შუა ერთი ტყე ყოფილა რკინის გზის ლიანდაგის ნაპირას, რომელსაც იმდენი კალია დასხდომია, რომ სულ ერთიანად გაუცლიათ ხეები ფოთლებისაგან. საჭმელი რომ შემოჰკლებია, კალია გაჰყოლია ლიანდაგს ახალის ტყის საძებრად; ამ დროს მომავალს მატარებელს ისე გასჭირვებია გასვლა, რომ იძულებული გამხდარა შეჩერებულიყო და გზა გაეწმინდა; მატარებლის მსახურთ დიდი სასჯელი მისდგომიათ გზის გაწმენდით: თითქმის სამასის საჟენის მანძილზე ლიანდაგი ისე ყოფილა მოფენილი კალიათი, რომ მისი გადარჩევა გაძნელებულა; მატარებლის ყველა ბორბლებიც გასაწმენდი შექმნილა გასრესილი კალიასაგან.

—

ჟურნალ-გაზეთები სატახტო ქალაქში. გაზ. „Сынъ отеч.“ მოჰყავს შემდეგი საინტერესო ცნობები იმის შესახებ, თუ რამდენად გავრცელებულია რუსეთის სატახტო ქალაქის დრო-გამოშვებითი გამოცემანი:

პეტერბურღში ამ წლის პირველს ნახევარში გადიოდა „სვეტ“—2000 ცალი ადგილობრივ ხელის-მომწერთათვის და 40,000 — ქალაქს-გარეშეთათვის; „ბირჟევია ვედომოსტი“—1200 ცალი—ქალაქელთათვის და 39,000—ქალაქს-გარეშეთათვის; „სინ ოტეჩესტვა“ 2,700 ქალაქელთათვის და 35,000—ქალაქს-გარეშეთათვის; „ნოვოე ვრემია“—7,400 ქალაქელთათვის და 24,000 ქალაქს-გარეშეთათვის; „პრავიტელსტვენი ვესტნიკ“—1100—ქალაქ. და 9,700—ქალ.-გარეშ.: „ნოვოსტი“ — 1,500 ქალაქ. და 6,400 ქალ.-გარეშ.; „ს.-პეტერბურგსკია ვედომოსტი“—600 ქალაქ. და 1600—ქალაქ.-გარეშ.

ყველაზედ უფრო ნაკლები ხელის-მომწერნი ჰყოლიათ ახალს გამოცემებს: „მიროვოე ოტგოლოსკი“—386 ქალაქისა და 800—ქალაქს-გარეშე; „ნაროდ»—240 ქალაქ. და 350 ქალაქს-გარეშე. საყოველკვირაო გამოცემანი: “ნედელია“—470 ქალაქ. და 14,000 ქალაქს-გარეშე; „რუსკი ინვალიდ“—440 ქალაქ. და 3800—ქალაქს-გარეშე; „გრაჟდანინ‘‘—370 ქალაქ. და 1600 ქალაქს-გარეშე; საყოველთვეო გამოცემათა შორის პირველი ადგილი უჭირავს ,,ვესტნიკ ევროპი‘‘,-ს რომელსაც 7000 ხელის მომწერი ჰყავს, შემდეგ: ,,რუსს. ბოგატსტვო‘‘—380 ქალაქ. და 6500 ქალაქს-გარეშე; ,,სევერნი ვესტნიკ‘‘—330 ქალაქელთა. და 2400 ქალაქს-გარეშე; ,,ნოვოე სლოვო‘‘—160 ქალაქ. და 2200 ქალაქს გარეშე და ბოლოს ,,ნაბლიუდატელ‘‘—170 ქალაქ. და 1700 ქალაქსგარეშე.

ამ ჟურნალ-გაზეთებისა ცალკე ნომრებიც ისყიდება, მაგრამ იმათი რაოდენობის ცნობები აქ არ არის მოყვანილი.

როგორც ეტყობა, ზოგიერთი სატახტო ქალაქის გაზეთები ნაკლებ გადის, თურმე, ვიდრე ჩვენებური ქართული გამოცემანი.

⁂

ვაჭრების და იჯარადრების საყურადღებოდ.

—

დღევანდელ ნომერში იბეჭდება განცხადება ფოთის საქალაქო გამგეობისა, რომლიდგანაც მკითხველები დაინახავენ, რომ ფოთის საქალაქო გამგეობას ამ თვის 21 დაუნიშნავს საჯარო ვაჭრობა ხიდის აშენებაზე მდინარე რიონის ტოტზე. მოიჯარადრეს უმთავრესი მასალები ხიდისა რკინის კოჭები და ბოძები უფასოდ დაეთმობა. ვაჭრობა პირიანი იქნება. მთელი შენობა დაფასებულია 22,200 მანათად. მოიჯარადრემ საქმის პირნათლიანად აღსრულებისათვის უნდა წარადგინოს ათი პროცენტი საიჯარო ჯამიდან ნაღდ ფულად ან სარგებლიან ქაღალდებით. დაწვრილებითი ცნობანი ამ იჯარისა მსურველთ შეუძლიანთ შეიტყონ თვით გამგეობის სამართველოში ყოველ დღე კვირა-უქმეების გარდა დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე.

უნდა ვიგულისხმოთ, რომ ჩვენებური ვაჭრები ამ საქმეს სხვა უცხო ვისმე არ ჩაუგდებენ ხელში და თუ ერთს ვისმე გაუძნელდება ამ საქმის კისრად-ღება, შეადგენენ ჯეროვან წრეს და იჯარას საამხანაგოდ აიღებენ.

განცხადებანი

მასწავლებელ ქალთა საზოგადოების სკოლა

დაიწყება ორივე სქესის მოწაფეთა მიღება 25 აგვისტოდან.

სკოლაში ორი განყოფილებაა (ქართული და სომხური) იმ მოწაფეთათვის, რომელთაც რუსული არ ესმისთ და სამი განყოფილებაც რუსული.

სკოლა გადავიდა ახალს სადგურში

ნავთლუღისა და გუდოვიჩის ქუჩების ყურში,

საგარდ პოსერბსკის სახლში, № 12.

სწავლა დაიწყება 1 სექტემბერს.

(6—3)

ფოთის ქალაქის გამგეობა

აცხადებს საცნობელად, რომ ხუთშაბათს, 21 აგვისტოს ამა 1897 წლისას, დღის 12 საათზე, მის თანადასწრებით, ქ. ფოთში იქმნება უსათუო პირადი ვაჭრობა ასაშენებლად ქ. ფოთში **ხის ხიდისა რკინის ბოძებზედ** მდინარე რიონის სამხრეთის ტოტზე, 22,200 მ. ღირებულისა. რკინის ბოძები და კოჭები (ბალკები) ქალაქისაგან უფასოდ მიეცემა იჯარადარს. დასაუზრუნვებლად ვალდებულებათა, რომელთაც მიიღებს თავისს თავზე იჯარადარი, მოეთხოვება ბეთ ათი პროცენტი საიჯარო ფულიდამ ნაღდად ანუ რუსეთის სახელმწიფო სარგებლიანის ქაღალდებით, ანუ მართებლობისაგან ნათავდებები აქციებით და ობლიგაციებით, აგრეთვე სხვა ბილეთებით, რომელთა ბეთ მიღება მართებლობისაგან ნება-დართულია სახელმწიფო იჯარების დროს. პირობები (კონდიციები), პროექტი, გეგმა და ხარჯთ-აღრიცხვა, რომელნიც-კი საჭირონი არიან წარსადგენად ვაჭრობის დროს, შეუძლიანთ გასინჯონ ფოთის ქალაქის გამგეობაში კვირა-უქმეებს გარდა ყოველ-დღე 9 საათ. ნაშუადღევის 2 საათ.

(3—1) ფოთის ქალაქის გამგეობა.

ბუღალტერიის შესწავლა

ვისაც საფუძვლიანათ ჰსურს შეისწავლოს

სრული კურსი ბუღალტერიისა სამის თვის განმავლობაში, შეუძლიან მიჰმართოს ტფილისის საურთიერთო სამეურნეო ბანკში უფროსს ბუღალტერს **ი. ია. ბრონ ფონ-ბრენერს.**

ფასი მთელის ბუღალტერიის საფუძველიანათ შესწავლისა 60 მან.

КУРСЪ БУХГАЛТЕРІИ.

состоящій изъ слѣдующихъ предметовъ:

1) **Бухгалтеріи** двойной итальянской по разнымъ отраслямъ торговой промышленности.
2) **Коммерческой ариѳметики** (банковыя и торговыя операціи,)
3) **Арифметики на счетахъ,**
4) **Коммерческой экономіи,**
5) **Торговыхъ и вексельныхъ** узаконеній,—преподаетъ И. Я. БРОНЪ ФОНЪ-БРЕННЕРЪ, гл. бухгалтеръ Тифл. общ. взаим. сел.-хоз. кредита и препод. **школы садоводства.**

ПЛАТА ЗА ВЕСЬ КУРСЪ 60 РУБ.

Курсъ 3-мѣсячный, при ежедневныхъ занятіяхъ, въ теченіе 2-хъ часовъ, по вечерамъ. Начало занятій—1-е числа каждаго мѣсяца. **АТТЕСТАТЫ за успѣшныя занятія отъ реальнаго училища и школы садоводства.**

Составленная И. Я. Бронъ Фонъ-Бренеръ книга «Коммерческая ариѳметика» содержитъ въ себѣ VII отдѣловъ: 1) ариѳметич. вычисленія на счетахъ, 2) монетныя вычисленія, 3) товарныя сдѣлки, 4) вексельныя операціи, 5) торговыя товарищества, 6) банки и ихъ операціи, 7) биржевыя операціи (520 задачъ и таблицы). Цѣна 2 руб. **Продается во всѣхъ книжныхъ магазинахъ у автора: Михайловская ул., д. № 71, и Барятинская, сельско-хоз. банкъ.**

(100—59)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 4 Августа 1897 г.

სტამბა ექ. ი. ხელაძისა, ლორის-მელიქოვის ქ., № 28.

რედაქტორ-გამომცემელი **ვალ. გუნია.**